პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელისთვის 26 მაისის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებულ ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელს მიენიჭოს 26 მაისის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

26 მაისის ქუჩა
ხიდის ქუჩა
26 მაისის VII ნახი
26 მაისის VI ნახი
26 მაისის IV ნახი
01.04.789
01.00.191
72.13.19.698
72.13.28.002
1 : 134

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

24 / ნოემბერი / 2025 წ.

KA011734460832325

№ **265768**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 მარტის № 03-032508736 და № 03-032508739 მომართვები (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომრებით 80393/17 და 80344/17), თანდართული *„ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. თბილისის სატრანზიტო გზის უსახელო მონაკვეთისთვის, დიდგორის ქუჩისთვის და ხიდის ქუჩისთვის* ***თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის*** *სახელის მინიჭების შესახებ“* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის №143 განკარგულებით.

მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე სააგენტოს მიერ წარმოებულ სამისამართო რეესტრში გეოგრაფიული ობიექტის რეგისტრაციის მიზნით დაიწყო № M25015261 ადმინისტრაციული წარმოება. 2025 წლის 21 მარტის № 143 განკარგულების დანართი რუკის თანახმად დამუშავდა გეოგრაფიული ობიექტის სივრცითი მონაცემები. ამასთან, მიმდინარე მომენტამდე სამისამართო რეესტრში აღრიცხული იყო გეოგრაფიული ობიექტები შემდეგი სახელწოდებებით:

- ქალაქი თბილისი, ავჭალა 2-ის დასახლება, დიდგორის ქუჩა;
- ქალაქი თბილისი, ავჭალა 2-ის დასახლება, დიდგორის I ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, ავჭალა 2-ის დასახლება, დიდგორის II ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, სოფელი გლდანი, ხიდის ქუჩა.

გეოგრაფიული ობიექტი „ქალაქი თბილისი, სოფელი გლდანი, ხიდის ქუჩა“ სამისამართო რეესტრში აღრიცხულია *„ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ე.წ. გიორგიწმინდას დასახლებას და სოფელი გლდანის უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“* ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 30 სექტემბრის № 63 განკარგულების საფუძველზე, რომლის თანახმად გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ე.წ. სოფელი გლდანის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩას, პირობითად მე-2 ქუჩას, მიენიჭა - ხიდის ქუჩის სახელი. განკარგულებას არ ახლდა სიტუაციური რუკა გეოგრაფიული ობიექტის ზუსტი გავრცელების არეალის მონიშვნით. ამასთან, ქუჩის გეოგრაფიული გავრცელების შესახებ ინფორმაცია, საველე აღწერის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციისა და იმ პერიოდისთვის სააგენტოს ხელთ არსებული აეროფოტოფოტოგადაღებაზე დაყრდნობით დამუშავდა.

ტერიტორიის შეფასებით დგინდება, რომ მითითებულ არეალში არსებობს სხვადასხვა დონეზე გამავალი ორი გზის მონაკვეთი, რომელთა სრულყოფილი გარჩევადობა მხოლოდ ორთოფოტოს გამოყენებით სირთულეს წარმოადგენს. ერთი გზის მონაკვეთი წარმოადგენს მიწის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე გაყვანილ საავტომობილო გზას, რომელიც მონიშნულია 2025 წლის 21 მარტის № 143 განკარგულების დანართ ორთოფოტოზე და რომელსაც განესაზღვრა - *თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის* სახელი. მეორე გზა კი წარმოადგენს პირველი საავტომობილო გზის ქვეშ მდებარე სივრცის, რომელიც ასევე გამოიყენება საავტომობილო მოძრაობისათვის და რომლიდანაც აქვთ მისასვლელი ცალკეულ შენობა-ნაგებობებს.

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 29 მარტს სააგენტომ გამოსცა № M17005313/3 გადაწყვეტილება სოფელ გლდანში ხიდის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთების სისტემური ნუმერაციის თაობაზე. ნუმერაცია განესაზღვრა სამისამართო ობიექტებს, რომელთა მისასვლელი გზა ფიქსირდებოდა ქვედა დონეზე გამავალ გრუნტის საფარის მქონე გზის მონაკვეთიდან.

საქმისათვის არსებითი გარემობების გამოკვლევის, საჭიროების შემთხვევაში სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესასწორებლად ან/და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების შესაფასებლად, გთხოვთ:

- დაგვიზუსტოთ ინფორმაცია, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 30 სექტემბრის № 63 განკარგულების საფუძველზე სახელდებული ხიდის ქუჩის გეოგრაფიული მდებარეობისა და მისი მოხაზულობის თაობაზე (რომელ დონეზე არსებულ გზის მონაკვეთს განესაზღვრა 2011 წელს სახელწოდება - ხიდის ქუჩა);

- იმ შემთხვევაში თუ № 63 განკარგულებით ხიდის ქუჩის სახელწოდება განესაზღვრა მიწის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე გაყვანილ საავტომობილო გზას, რომლიდანაც პირდაპირი მისასვლელი არ აქვს სააგენტოს მიერ № M17005313/3 გადაწყვეტილებით დამისამართებულ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში იმსჯელოთ, შესაბამისი (ქვედა დონეზე ასებული) უსახელო გზის მონაკვეთის სახელდების თაობაზე (რაც შესაძლებლობას მისცემს საჯარო რეესტრს გააბათილოს 2017 წლის 29 მარტის № M17005313/3 გადაწყვეტილება) და ამავდროულად შესაბამისი ობიექტები არ დატოვოს მისამართების გარეშე და ახლადსახელდებული ქუჩის მითითებით განუსაზღვროს ახალი მისამართები;

- იმ შემთხვევაში თუ № 63 განკარგულებით ხიდის ქუჩის სახელწოდება განესაზღვრა ქვედა დონეზე არსებულ გზის მონაკვეთს, გთხოვთ, ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით კორექტირება შეიტანოთ 2025 წლის 21 მარტის № 143 განკარგულებაში, სადაც აღარ იქნება მითითებული ინფორმაცია ხიდის ქუჩის მონაკვეთისთვის სახელწოდების ცვლილების შესახებ.

შენიშვნა: დანართის სახით გიგზავნით 2011 წლის 30 სექტემბრის №63 განკარგულების ასლს.

დანართი: 1 (ერთი) .*pdf ფაილი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 63

„30" სექტემბერი 2011 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ე.წ გიორგიწმინდას დასახლებას და სოფელი გლდანის უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ.

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ე.წ გიორგიწმინდას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით, მიენიჭოს შემდეგი სახელწოდებები:

- პირობითად 1 ქუჩას – დავით აღმაშენებლის ქუჩა;
- პირობითად მე-2 ქუჩას – მერაბ კოსტავას ქუჩა;
- პირობითად მე-3 ქუჩას – 9 აპრილის ქუჩა;
- პირობითად მე-4 ქუჩას – გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა;
- პირობითად მე-5 ქუჩას – მირზა გელოვანის ქუჩა;
- პირობითად მე-6 ქუჩას – სანდრო კანდელაკის ქუჩა;
- პირობითად მე-7 ქუჩას – განთიადის ქუჩა;
- პირობითად მე-8 ქუჩას – აკაკის წერეთლის ქუჩა;
- პირობითად მე-9 ქუჩას - ილია ჭავჭავაძის ქუჩა;
- პირობითად მე-10 ქუჩას – თამარ მეფის ქუჩა;
- პირობითად მე-11 ქუჩას – ვაჟა-ფშაველას ქუჩა;
- პირობითად მე-12 ქუჩას - ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა;
- პირობითად მე-13 ქუჩას – ლადო გუდიაშვილის ქუჩა;
- პირობითად მე-14 ქუჩას - ნესტორ ესებუას ქუჩა;
- პირობითად მე-15 ქუჩას - აკაკი ხორავას ქუჩა;.

166735/17
04 10 11

- პირობითად მე-16 ქუჩას - სოხუმის ქუჩა;
- პირობითად მე-17 ქუჩას - რუსთაველის ქუჩა;
- პირობითად მე-18 ქუჩას – თბილისის ქუჩა;
- პირობითად მე-19 ქუჩას – მომავლის ქუჩა;
- პირობითად მე-20 ქუჩას - გაგრის ქუჩა;
- პირობითად 21-ე ქუჩას - ქართლის ქუჩა;
- პირობითად 22-ე ქუჩას – იმერეთის ქუჩა.

ბ) გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ე.წ სოფელი გლდანის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით, მიენიჭოს შემდეგი სახელწოდებები:

- პირობითად 1 ქუჩას – ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა;
- პირობითად მე-2 ქუჩას – ხიდის ქუჩა;
- პირობითად მე-3 ქუჩას – დავით აღმაშენებლის ქუჩა;
- პირობითად მე-4 ქუჩას – გამარჯვების ქუჩა;
- პირობითად მე-5 ქუჩას – თამარ მეფის ქუჩა;
- პირობითად მე-6 ქუჩას – წყაროს ქუჩა;
- პირობითად მე-7 ქუჩას – გიორგი სააკაძის ქუჩა;
- პირობითად მე-8 ქუჩას – ფირსმანის ქუჩა;
- პირობითად მე-9 ქუჩას - გრიგოლ ორბელიანის ქუჩა;
- პირობითად მე-10 ქუჩას – 26 მაისის ქუჩა;
- პირობითად მე-11 ქუჩას – ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა;
- პირობითად მე-12 ქუჩას - აკაკი წერეთლის ქუჩა;
- პირობითად მე-13 ქუჩას – კულა გლდანელის ქუჩა;
- პირობითად მე-14 ქუჩას - რუსთაველის ქუჩა;
- პირობითად მე-15 ქუჩას - ივანე ჯავახიშვილის ქუჩა.

გ) ქ.თბილისის მერიამ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03253317**
თარიღი: **27/11/2025**

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ.2

სამისამართო დეპარტამენტის უფროსს
ნინო ბახიას

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2025 წლის 24 ნოემბრის საქმე N06-032532815-03, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ხიდის ქუჩის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში დაცული მონაცემებით 2011 წელს ხიდის სახელი მიენიჭა თბილისის სატრანზიტო გზის მონაკვეთს სოფ. გლდანის მიმდებარედ, აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის გზის ნაწილს და დღეის მდგომარეობით მინიჭებული აქვს თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელი.

დანართის სახით გიგზავნით ხიდის ქუჩის გავრცელების არეალის შესახებ კომისიაში არსებულ ინფორმაციას.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისი გლდანი–ნაძალადევის რაიონი
სოფელი გლდანი
ქუჩა 02
NORTH
02 ქუჩა
1
1ა
1ბ
2
3
4
5
6
8
0
25
50
100 მეტრი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

15 / დეკემბერი / 2025 წ.

KA011787706920125

№ **284760**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ასლი: სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მონაცემთა ხარისხის მართვის სამსახურის
უფროსს ბატონ ავთანდილ მაღლაკელიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ნოემბრის № 03-03253317 მომართვა (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომრით 316828/17), რომლითაც გვეცნობა, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში დაცული მონაცემებით 2011 წელს ხიდის სახელი მიენიჭა თბილისის სატრანზიტო გზის მონაკვეთს სოფელ გლდანის მიმდებარედ და დღეის მდგომარეობით მას მინიჭებული აქვს თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დღეის მდგომარეობით, სოფელ გლდანში მდებარე ყოფილი *ხიდის ქუჩის* მონაკვეთი ჩამოყალიბდა, როგორც უსახელო გეოგრაფიული ობიექტი. ამასთან, შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 29 მარტს სააგენტომ გამოსცა № M17005313/3 გადაწყვეტილება სოფელ გლდანში *ხიდის ქუჩის* მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთების სისტემური ნუმერაციის თაობაზე. ნუმერაცია განესაზღვრა სამისამართო ობიექტებს, რომელთა მისასვლელი გზა ფიქსირდებოდა ქვედა დონეზე გამავალ გრუნტის საფარის მქონე გზის მონაკვეთიდან.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემობებისა და სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების დასაკორექტირებლად გთხოვთ, უმოკლედ ვადაში იმსჯელოთ, უსახელო გზის მონაკვეთის სახელდების თაობაზე (რაც შესაძლებლობას მისცემს სააგენტოს გააბათილოს 2017 წლის 29 მარტის № M17005313/3 გადაწყვეტილება).

მუნიციპალიტეტის მიერ გეოგრაფიული ობიექტის სახელდების განკარგულების გამოცემისთანავე სააგენტო უზრუნველყოფს სამისამართო ობიექტებისთვის (შენობა-ნაგებობა/ მიწის ნაკვეთი) ნუმერაციის მინიჭებას და ინდივიდუალური მისამართების განსაზღვრას, რაც მოქალაქეთა მომსახურების შეფერხების აღმოფხვრისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იქნება სააგენტოს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით, https://maps.gov.ge/

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032535032**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 15 დეკემბრის საქმე #06-0325349102-03.
გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი წერილი, შეისწავლოთ გარემოებები და გამოგვიგზავნოთ თბილისის შემოსასვლელ გზატკეცილთან, სოფელი გლდანის ტერიტორიაზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე გამავალი უსახელო გასასვლელის სიტუაციური ნახაზი.
გაცნობებთ, რომ კომისიის მიერ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პორტალზე შემოწმდა მოქალაქეთა მიერ ატვირთული სხვადასხვა პერიოდის ფოტომასალა, რითაც დასტურდება, რომ ხიდის ქვედა დონეზე ნამდვილად არსებობს სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილი სამანქანე გზა, შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურით.

დანართი 8 (რვა) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

Google Maps
Share

23/06/12

23/05/24